

შპს “მეტრო ლოგისტიკი”
(ს/ნ 402079344)

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5

შპს “ მეტრო ლოგისტიკი”

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.გაანგარიშების

ერთეული : ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	286342	55760	17158
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	236918	132955
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	3660	30273
მარაგები	0	0	100
მზა პროდუქცია	0	0	100
ძირითადი საშუალებები	2345	50852	130830
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	288687	347190	311316
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	649688	614518	419452
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	334459	233510	176720
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	984147	848028	596172
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-695460	-500838	-284856
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-695460	-500838	-284856
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	288687	347190	311316
სულ მოკლევადიანი აქტივები	286342	100	100
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	649688	0	0

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

/ თემურ გუმბერიძე




შპს “ მეტრო ლოგისტიკი”

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.გაანგარიშების

ერთეული : ქართული ლარი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3671712	5605976
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3638622	5605976
სხვა	33090	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3330722	-5284332
საერთო მოგება	340990	321644
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-307187	-320737
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-8757	-10431
საპროცენტო შემოსავალი	2599	3435
საპროცენტო ხარჯი	-36690	-19896
იჯარის ხარჯი	-38786	-37347
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-146791	-125452
სულ საოპერაციო ხარჯები	-535612	-510428
საოპერაციო მოგება	-194622	-188784
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-194622	-188784
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-194622	-188784
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-194622	-188784
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-500838	-284856
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-27198
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-695460	-500838

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:



/ თემურ გუმბერიძე/



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.

შპს „მეტრო ლოგისტიკი“ დაარსა 2018 წელს და დაარსებიდან დღემდე აწარმოებს საერთაშორისო გადაზიდვებს, საზღვაო, საავიაციო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით, გადაზიდვებს კავკასიისა და ევროპის ქვეყნებში, ასევე ყველა სახის დამატებით მომსახურებას, როგორცაა განბაჟება და სასაწყობო მომსახურება.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილი მფობელობა თემური გუმბერიძე.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი, I კვ., კორპ. #6, ბინა #28.

კომპანიის ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 24გ.

2. შედგენის საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები, სავალუტო რისკი

ფუნქციონირების და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმო სავაჭრო ურთიერთობისას მომწოდებლებთან, მყიდველებთან, თანამშრომლებთან და სხვა ფულადი ანგარიშსწორებისას იყენებს უნაღდო საბანკო ანგარიშებზე გადახდის მეთოდს.

უცხოურ მომწოდებელ და სატრანსპორტო კომპანიებთან ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებას ინვოისში მითითებული ვალუტით.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილებების რისკი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის გაანგარიშება:

გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი - 2.7020 ლარი; 1 ევრო - 2.8844 ლარი;

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი - 2.9753 ლარი; 1 ევრო - 2.6894 ლარი;

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით.

კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია არ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

	31.12.2023	31.12.2022
	ლარი	ლარი
ფული სალაროში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	271118	55760
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	15224	
	286342	55760

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023 ლარი	31.12.2022 ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	236918

ძირითადი საშუალებები (ოფისი აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი)

თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარი		50852
შემოსვლა		79208
გასვლა		118958
მიმდინარე წლის ცვეთა		8757
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი		2345

სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.2023 ლარი	31.12.2022 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	649688	614518

გრძელვადიანი ვალდებულებები

	31.12.2023 ლარი	31.12.2022 ლარი
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	334459	233510

საოპერაციო ხარჯები

	31.12.2023 ლარი	31.12.2022 ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	307187	320737
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	8757	10431
საპროცენტო შემოსავალი	-2599	-3435
საპროცენტო ხარჯი	36690	19896
იჯარის ხარჯი	38786	37347
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	146791	125452
ჯამი	535612	510428

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელიც მოითხოვს აღიარებას და განუღვენებას ფინანსულ ანგარიშგებაში.